



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მთისძირის არქეოლოგიური ძეგლები

მთისძირის არქეოლოგიური ძეგლები, მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლები (ძვ. წ. VI ს. – ახ. წ. VIII ს.) მდ. რიონის მარცხ. ნაპირას, სოფ. მთისძირის სამხრ. ნაწილში, ვანიდან 8 კმ-ზე. ნამოსახლარები დადასტურებულია რამდენიმე გორაზე და მათ შორის მდებარე დაბლობზე. აღმოჩენილია მრავალნაირი კერამ. ნაწარმი, აგრეთვე კრამიტი და აგური, იმპორტ. (ატიკური, ქიოსური, სინოპური) კერამ. ნაწარმი და ქვევრსამარხების ნაშთები.

ამ ტერიტ-ზე განსაკუთრებით საყურადღებოა ორი პუნქტი: 1. წაბლა-ღელე, რ-ის შუა წელთანაც 1952 შემთხვევით აღმოჩნდა (ნ. ხოშტარია) მდიდრული სამარხის ნაშთი (ძვ. წ. V ს. ბოლო - IV ს.), რ-შიც ნაპოვნია ოქროს „სხივანა საყურე“, საკისრე რგოლი, ვერცხლის ყანწ-რიტონი (ვაც-კაცის გამოსახულებით), ბრინჯაოს ჭურჭელი, რკინის ლურსმანი და ადგილ. კერამიკის ნაშთები. 2. ადგიშვილების გორა, სადაც ზედა ტერასაზე 1974 გაითხარა (გ. გამყრელიძე) ძვ. წ. V-IV სს. სასიმაგრო ნაგებობების ნაშთი. მშენებლობაში გამოყენებული ყოფილა ქვა, ხის (თელა) ძელები და თიხამინა. ნაგებობა ოთხკუთხაა და შედგება 2 სხვადასხვა ზომის (26,88 მ² და 13,44 მ²) სათავსისგან. გარე კედლების სიგანეა 2,80-2,60 მ, ხოლო შიდა კედლისა — 1 მ. ნაპოვნია ძვ. წ. V-IV სს. ადგილ. (კოლხური ქვევრები, დერგები, სასმისები), იმპორტ. კერამიკის ნაშთები, აგრეთვე ბრინჯაოს ბანზალაკი, ისრისპირი, 3 სალესი ქვა და ოსტეოლოგიური მასალა (ღორის ეშვი, ძროხისა და ცხენის ძვლები). ამგვარი ძეგურ-ბათქაშიანი ნაგებობა დამახასიათებელია ძვ. წ. V-IV სს. კოლხეთისათვის. მისი დანგრევის დრო — ძვ. წ. 330 ± 40 წ. - განსაზღვრულია რადიოაქტიური ნახშირბადის დაშლის მეთოდით ადგიშვილების გორის თავზე აღმოჩნდა IV-III სს. ნაგებობა (საერთო ფართ. 145,75 მ²). საშენ მასალად გამოყენებულია ქვა, აგური, კრამიტი. კირხსნარს ხმარობდნენ კედლის შესაღესად, შემაკავშირებლად და იატაკის მოსაჭიმად. ნანგრევებში ნაპოვნია ამავე პერიოდის კერამიკა.

მ. ა. ძის მასალა ახლოს დგას ვანის, დაბლაგომის, დაფნარისა და კოლხეთის სხვა სინქრონიულ არქეოლ. ძეგლებთან.

ლიტ.: გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე გ., ცენტრალური კოლხეთის ძველი ნამოსახლარები (სოფ. მთისძირი), თბ., 1982; Х о ш т а р и а Н. В., Археологические исследования в Вани и Ванском районе в 1982 году, «მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის», 1959. ტ. 2.

გ. გამყრელიძე
